RDFG
for a better future

საინფორმაციო ბიულეტენი, ოქტომბერი 2019

გვ. 2-3

ევროკავშირის მხარდაჭერით, RDFG-იმ და სოციალური მომსახურების სააგენტომ დასაქმებისა და პროფესიული განათლების ფორუმი გამართეს

გვ. 3-4

ევროკავშირი და AFD, RDFG-სთან თანამშრომლობით, იწყებენ ENPARD-ის ახალ პროექტს მცირე კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივების მხარდასაჭერად საქართველოში

გვ. 5

RDFG-ის DRR ცენტრის ორგანიზებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო მართვის გეგმის საბოლოო განხილვა გაიმართა

გვ. 5-6

RDFG-ის DRR ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

გვ. 6-7

UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, RDFG-სა და DEKONTA-ს ორგანიზებით, მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებული ტრენინგი გაიმართა

გვ. 8

ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და RDFG-ის ორგანიზებით, ქართული სტარტაპები სასწავლო ვიზიტით ვენაში იმყოფებოდნენ

ევროკავშირის მხარდაჭერით, RDFG-იმ და სოციალური მომსახურების სააგენტომ დასაქმებისა და პროფესიული განათლების ფორუმი გამართეს

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD

RDFG for a better future

2019 წლის 18 ოქტომბერს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი დასაქმების ხელშეწყობისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში, ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებით, ქალაქ თეთრიწყაროში დასაქმებისა და პროფესიული განათლების ფორუმი გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ადგილობრივი სამუშაოს მაძიებლები პროფესიული გადამზადების კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან დაეკავშირებინა, ხოლო დამსაქმებლებს ახალი კვალიფიციური კადრების მოძიებაში დახმარებოდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების 11 კოლეჯმა, ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებმა სამუშაოს მაძიებლებმა და 23-მმა მსხვილმა დამსაქმებელმა კომპანიამ 300-მდე აქტიური ვაკანსიით, მათ შორის ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი და RDFG-ის ხელშეწყობით განხორციელებული სოფლის განვითარების პროექტების წარმომადგენლებმაც.

ფორუმზე მისასალმებელი სიტყვით წარდგა RDFG-ის თავმჯდომარე ვანო გრიგოლაშვილი, რომელმაც ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი დასაქმების ხელშეწყობისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, ლევან გოგოძემ და ამავე სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა, მარიამ ბეზარაშვილმა დასაქმების თანამედროვე გამოწვევებზე, სახელმწიფო სტრატეგიასა და პროგრამებზე ისაუბრეს. დასასრულს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელმა გვანცა ტოროშელიძემ კარიერული დაგემვის პროცესში პროფესიული განათლების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ფორუმზე წარდგენილ დამსაქმებელთა შეთავაზებებსა და პირობებს გაცნობოდა, ასევე, მიეღო ინფორმაცია პროფესიული კურსების შესახებ. გარდა ამისა, ისინი შეხვდნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი წარმატების ისტორიები გაუზიარეს და უამბეს, თუ როგორ

შეუძლიათ გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები თანამედროვე დასაქმების ბაზარზე.

ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ფორუმზე წარდგენილ დამსაქმებელთა შეთავაზებებსა და პირობებს გაცნობოდა, ასევე, მიეღო ინფორმაცია პროფესიული კურსების შესახებ. გარდა ამისა, ისინი შეხვდნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი წარმატების ისტორიები გაუზიარეს და უამბეს, თუ როგორ შეუძლიათ გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები თანამედროვე დასაქმების ბაზარზე.

ღონისძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კურსების ვაუჩერებით დაჯილდოება წარმოადგენდა. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, მხოლოდ თეთრიწყაორს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო გათამაშებაში, შეერჩია მისი ინტერესების შესაბამისი პროფესიული კურსი და სრულიად უფასოდ მიეღო ვაუჩერი პროფესიული განათლებისთვის. ჯამში სულ 30 გამარჯვებული გამოვლინდა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ევროკავშირის პარტნიორი ასოციაციის „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) მიერ ხორციელდება. პროექტი, მიზნად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს, რაც ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელების ჩართვის მეშვეობით მიიღწევა. ამ მიზნით, RDFG თანამშრომლობს აგრო-ტექონოლოგიების ასოციაციასთან (ATA) და ლიეტუვის ადგილობრივი განვითრების ჯგუფების ქსელთან (VVGT).

ევროკავშირი და AFD, RDFG-სთან თანამშრომლობით, იწყებენ ENPARD-ის ახალ პროექტს მცირე კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივების მხარდასაჭერად საქართველოში

2019 წლის 3 ოქტომბერს, ევროკავშირის ENPARD პროგრამის 4 წლიანი პროექტის „ფინანსური და საექსტენციო სერვისები და კოოპერაციული განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ფერმერებისთვის” (FinExCoop საქართველო) გახსნის ღონისძიება გაიმართა. ევროკავშირისა და L’Agence Francaise de Developpement-ის (AFD) მიერ 4 მლნ ევროს მოცულობის ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მცირე კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას საქართველოში, ხორციელდება ასოციაციასთან სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლასა და მერსი ქორფსთან პარტნიორობით.

კონფერენცია ოფიციალურად გახსნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის პროგრამის მენეჯერმა ჟორჟ დეჭუქსიმ.

„დღეს წარმოდგენილი ახალი პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ევროკავშირის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის მიმდინარე პროცესში. პროექტი ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს, რომ გაძლიერდნენ და უკეთ გაუმკლავდნენ სექტორში არსებულ სტრატეგიულ გამოწვევებს და უკეთ გამოიყენონ ახალი ბაზრების, მათ შორის ევროკავშრთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით შექმნილი შესაძლებლობები", – განაცხადა ჟორჟ დეუმ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სურსათის უვნებლობის პროგრამის მენეჯერმა.

პროექტის გახსნის ღონისძიებაზე, სიტყვით წარდგა RDFG-ის გრანტების მოძიებისა და მონიტორინგის კოორდინატორი, სამანტა გათრი, რომელმაც პროექტში RDFG-ის როლზე ისაუბრა:

„RDFG მოხარულია, რომ დღეს არასამთავრობო სექტორს თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგენს. ადგილობრივ დონეზე განმახორციელებელ პარტნიორებთან თანამშრომლობა მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ე.წ. ფერმერიდან ფერმერამდე მეთოდოლოგიაზე, ხოლო საპილოტე პროექტები, რომლებიც განხორციელდება, არის ძალის დემონსტრირების ძალიან კარგი მაგალითი ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების ასათვისებლად. ამასთან, ჩვენი სამუშაოს ძირითადი ნაწილი ახალგაზრდებზეა მიმართული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შესაძლოა მიიზიდოს და შეინარჩუნოს ახალგაზრდები ამ სფეროში, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის საარსებო წყაროს მოძიების ახალ შესაძლებლობებს გააჩენს".

კონფერენციამ თავი მოუყარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და გააცნო მათ პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ, საფრანგეთის განვითარების სააგენტომ (AFD), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), საერთაშორისო დონორებმა და ფინანსურმა ინსტიტუციებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, წამყვანმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა და ასოციაციებმა.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს გლობალური პროგრამის ნაწილს, რომლის მიზანია ფინანსური ინკლუზიურობის დონის ამაღლება და ბაზრებთან წვდომა მცირე კომერციული მეურნეობებისთვის. პირველი კომპონენტი დაფინანსდა Proparco-ს, AFD-ის სუბსიდიარი კომპანიის მიერ, რომელიც კერძო სექტორს შეეხო აგროსაკრედიტო ხაზების გახსნით ორი ძირითად საფინანსო დაწესებულებისთვის საქართველოში.

RDFG-ის DRR ცენტრის ორგანიზებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო მართვის გეგმის საბოლოო განხილვა გაიმართა



2019 წლის 1-ელ ოქტომბერს, USAID Zrda პროექტის ფარგლებში, ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრის ორგანიზებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო მართვის გეგმის საბოლოო განხილვა გაიმართა, რომელიც მოწონებულ იქნა ორივე მხარის მიერ. შეხვედრაზე შეთანმხდნენ, რომ 2019 წლის 11 ოქტომბერს, დოკუმენტი გორის საკრებულოს სხდომაზე გავა დასამტკიცებლად. ღონისძიებას ესწრებოდა RDFG-ის საგანგებო სიტუაციებისა და კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტი შოთა კუბლაშვილი, გორის მერის პირველი მოადგილე ერასტი ელიჯანაშვილი და USAID ზრდა პროექტის წარმომადგენელი ნონა თათეშვილი.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა ზრდა (Zrda Activity in Georgia) მიზნად ისახავს საქართველოს შერჩეულ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. რადგან, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შეუძლებელია უსაფრთხო გარემოს შექმნის გარეშე, პროექტი შეიცავს კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებებს მუნიციპალურ დონეზე, რაც გამოიხატება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების ხელშეწყობაში, ინსტრუქციების დონეზე შესაბამისი მეთოდიკის დანერგვასა და განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში, კატასტროსფის რისკის შემცირებისათვის დაგეგმილ აქტივობებს ახორციელებს „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) და მასთან არსებული კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრი (DRR Center).

RDFG-ის DRR ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

2019 წლის 13 ოქტომბერს, ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა კატასტროფის რისკის შემცირებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას.

RDFG-ის DRR ცენტრმა მონაწილეობა მიიღო კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

კატასტროფის რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა RDFG-ის DRR ცენტრის ერთ-ერთი სამუშაო მიმართულებაა. ამჟამად, ჩვენი ორგანიზაცია ხსენებული მიმართულებით ორ პროექტს ახორციელებს: „კუდსაცავების მართვის საშუალებების უსაფრთხოების გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“ და USAID ზრდა პროექტის კატასტროფის რისკის შემცირების კომპონენტი.

გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, კატასტროფის რისკის საერთაშორისო დღე 1989 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს კატასტროფის შემცირებისა და რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას.

UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, RDFG-სა და DEKONTA-ს ორგანიზებით, მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებული ტრენინგი გაიმართა

2019 წლის 21 ოქტომბერს, UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „საგანგებო სიტუაციებისათვის მზაობისა და მათი მართვისათვის ქართული მიდგომების გაღრმავება” ფარგლებში, კომპანია DEKONTA-სა და ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) ორგანიზებით,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თბილისის ზღვის ბაზაზე გაიმართა ტრენინგი მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტსა და მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისა და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები. RDFG-ის მხრიდან, ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს RDFG-ის კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრის თავმჯდომარემ, ვანო გრიგოლაშვილმა და ამავე ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციების მართვისა და კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტმა, შოთა კუბლაშვილმა.

პროექტი „საგანგებო სიტუაციებისათვის მზაობისა და მათი მართვისათვის ქართული მიდგომების გაღრმავება" არის ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოსთვის ცოტა ხნის წინ გაწეული უცხოური დახმარების ერთგვარი გაგრძელება, რომელიც კომპანია DEKONTA-ს მიერ განხორციელდა. პროექტის იდეა ინიცირებული იყო პროექტის ბენეფიციარის – შსს-ს საგანგებო სუტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლების მიერ, რომელიც მოჰყვა პროექტის განმცხადებლის მიერ 2018 წელს განხორციელებულ ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების პროექტს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობის გაზრდისათვის.

მიმდინარე პროექტის მიზანია საგანგეგო სიტუაციების სამსახურის მეთოდოლოგიური და ექსპერტული უნარებისა და შესაძლებლობის გაღრმავების გზით, მხარი დაუჭიროს მასშტაბური ავარიების პრევენციას, რომლებიც დაკავშირებულია სახიფათო სამრეწველო ობიექტებთან საქართველოში. „მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის თანახმად, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უნდა იყოს კომპეტენტური ორგანო, განსაკუთრებით სახიფათო სამრეწველო ობიექტების საგანგებო სიტუაციების დაგეგმარების ზონების განსაზღვრაში; ასევე, იმ მუნიციპალიტეტებისა და რეგიონებისთვის გარე საგანგებო გეგმის შემუშავებაში, სადაც სახიფათო სამრეწველო ობიექტები მდებარეობს. ჩვენი ორგანიზაცია – ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) ზემოხსენებულ პროექტში ადგილობრივი კოორდინატორის როლს ასრულებს.

ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და RDFG-ის ორგანიზებით, ქართული სტარტაპები სასწავლო ვიზიტით ვენაში იმყოფებოდნენ

2019 წლის 1-4 ოქტომბერს, ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) თავის პარტნიორთან, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად, (GITA) ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მხარდაჭერით, ორგანიზება გაუწია ქართული სტარტაპების სასწავლო ვიზიტს ვენაში. პროგრამის დაგეგმვა-განხორციელება სრულად იყო მხარდაჭერილი ავსტრიის სავაჭრო პალატის მიერ.

ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და აგროტურიზმის სფეროში ავსტრიული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ქართული სტარტაპების მიერ, ასევე, ახალი კავშირების დამყარების ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო 8 ქართული სტარტაპი აგროტურიზმის სფეროდან - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) საგრანტო პროგრამის გამარჯვებულები და ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში, RDFG-ის მიერ განხორციელებული სტარტაპების წარმომადგენლები. გარდა ამისა, ღონისძიებას ესწრებოდნენ RDFG-ის თავმჯდომარე - ვანო გრიგოლაშვილი, ამავე ორგანიზაციის სოფლის განვითარების მენეჯერი - ნელი რევაზიშვილი და GITA-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ანა ვაშაყმაძე. ავსტრიის სავაჭრო პალატიდან, სასწავლო ვიზიტს ესწრებოდა იოჰანეს ფელნერი.

სასწავლო ვიზიტი განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა პროექტის მონაწილეთათვის, რომელთა თქმითაც, აღნიშნულმა ღონისძიებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათზე და მათ სტარტაპებზე. GITA-სა და RDFG-ის ბენეფიციარებმა ავსტრიულ მხარესთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს და განაცხადეს, რომ ვიზიტის ფარგლებში მიღებულ გაკვეთილებს საქართველოში გამოიყენებენ, მათ შორის დაარსებენ ავსტრიული სტარტაპების ასოციაციის ანალოგს საქართველოში.

პროექტი „ ქართული აგროტურისტული სტარტაპების სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში“ მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო მდგრადი განვითარებისა და ინოვაციებისათვის, ასევე, მომგებიანი, მაღალი ხარისხის ინდუსტრიის განვითარებისათვის აგროტურიზმის სექტორში. პროექტის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენდა აგროტურისტული სტარტაპებისათვის სასწავლო ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება ავსტრიაში.

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG)

კონტაქტი

0322 24 05 01

info@rdfg.ge

www.rdfg.ge

https://www.facebook.com/WWW.RDFG.GE/

https://www.linkedin.com/company/rdfg---rural-development-for-future-georgia

გაბრიელ ისაკაძის ქ.4, საქართველო, თბილისი 0160